

TSATE BATSASHI

FREE UNIVERSITY OF TBILISI

t.batsashi@freeuni.edu.ge

HISTORICAL TOPONYMS, HYDRONIMS AND GEOGRAPHICAL NAME CHANGES IN TURKISH OTTOMAN EMPIRE AND IN THE REPUBLIC OF TURKEY

Abstract

Anatolia, the Balkan Peninsula, and the surrounding territory have been a place where people of Hittite, Urartu, Lydians, Armenians, Luwians, ancient Georgian tribes, left cultural diversity, various linguistic, and political trail for centuries. With the rise of Greek colonization, a Hellenization of local toponyms had begun, lasting for two thousand years. When Turkmenian tribes populated these territories and during the whole ruling period of the Ottoman Empire the Turkization of local toponyms seemed like a natural issue, rather than political matter. First, the process was based on phonetical similarities: “Speri” – was renamed to Ispir, “Sparta” – Isparta, etc. The most well-known example is Istanbul. The “stinpoli” which means “in the city”, the Turkish people perceived as “Istanbul”.

The situation had been dramatically changed by the beginning of the 20th century. Ittihadist people were changing toponyms, spreading nationalistic policy; that matched the Balkan Wars period. During the First World War, the process was being accelerated, the Turkish nationalists targeted to rename every geographical name – cities, lowlands, mountains, forests... From the beginning of the Republic period up to nowadays, every non-Turkish name is still being changed on Turkish territory.

According to the international treaty of Lausanne, non-muslims (Greeks, Armenians...) were recognized as an ethnic minority. But the resentment against Greeks and Armenians made the Government to turn ire on non-Turkish origin Muslim population (Kurds, Georgians, Lazs). Hence Kurdish and Kartvelian toponyms were changed. For this purpose “The Name Change Council” was established in the Ministry of Internal Affairs.

During the entire existence of The Ottoman Empire the nowadays Samsun region, known as Chaneti (originally Georgian name) was called Janic/Janit/Janeti. Lazistan region suffered the same fate. It was totally abolished and the districts of Rize and Artvin have been formed there instead. That caused the riot of Lazs, suppressed by the Turkish government. Since then historically Georgian toponyms were being systematically changed to Turkish namings.

Keywords: Toponymy, renaming, Turkization, nationalism, history.

As is known Anatolia, the Balkan Peninsula and the nearby areas have been the cradle of various linguistic, cultural and political system unions for centuries that left a sensitive trail (people of Hittite, Urartu, Lydians, Luwians, ancient Georgian tribes, etc.).

The Hellenization of local toponyms began with the onset of Greek colonization lasting about 2000 years. More intensively this process has been taking place during the reign of Alexander the Great and Hellenistic kingdoms. The same process was held by the invasion of Seljuks and the formation of Turkmenian political units. The Sultanate of Rum (Sultanate of Iconium) is particularly noteworthy. In public places, it was banned to speak other languages except Turkish. As a result, the Greek Orthodox Church had to translate the New Testament (using the Greek alphabet) and conduct the liturgy and preaching in Turkic. Because of this autochthonous Christian populations of different origin gradually had lost their language. Those who stayed Christians consider themselves as Greeks, but those who converted to Islam saw themselves as Turks. Their Christian descendants are called Karamanlis, (the majority of the population live in Greece and Turkey). It is worth mentioning that Greeks of Tsalka and most of Meskhetian Turks are considered to be Georgian inhabitants of Spare, Basiani, Meskhet-Javakheti and partly of Lazet-Chaneti (historical Georgian territories).

At the very beginning, the Ottoman Empire didn't consider this matter to be a rigorous one, because it regarded itself as a successor to the Byzantine Empire. Therefore during all this time until the beginning of the 20th century, the toponym change has been regarded as a natural issue rather than a political matter. First, the process was based on phonetical similarities. The most well-known example is Istanbul. The “stinpoli” which means “in the city”, the Turkish people perceived as “Istanbul”. The Greek city “Smyrna” was renamed to Izmir. “Adrianopolis” – as Edirne, etc. Toponyms were often translated. E.g. “Argiropolis” (silver city) was translated as Gümüşhane (same meaning); “Sebastia” – Sivas, “Caesarea” – Kayseri, “Nicaea” – Iznik, “Ikonia” – Konya, “Brusa” – Bursa, “Speri” – Ispir, “Riza (Rizaeon)” – Rize, “Maradid” – Muratlı... etc.

The situation changed dramatically at the beginning of the 20th century. In 2003 Murat Koraltürk an Associate professor of Marmara University established an article in the “Toplumsal Tarih” journal with the headline “Nationalistic Reflex: Turkization of Toponyms” (Koraltürk 2003, 98-99), and it provided a lot of feedback and criticism by nationalist groups of scientists. Basically, we base on material from an article due to inaccessibility to Turkish archives.

Ittihadist people were changing toponyms; it was their policy of settlement that matched the Balkan Wars period. During the First World War, the process began to accelerate, every geographical place – cities, lowlands, mountains, and forests have been being renamed (Toprak 1995, 60-63; Koraltürk 2003, 98; Dündar 2001, 81-84).

At the beginning of the 19th century, Turkish nationalism starts its implementation as Ottomanism. In 1908, as a result of the takeover, Ittihadists who were expressing Turkish nationalism took State power. Turkish nationalism was influenced by Greek and Balkanian Slavic peoples' nationalism (Yerasimos 1995, 18-19).

In January 1916, Enver Pasha ordered to rename all Armenian, Greek, Bulgarian (non-muslim) districts, regions, cities, villages, mountains, and rivers to Turkish-based names. But the execution of order had to be canceled to avoid confusion during the war. But in that short period, lots of toponyms were changed (Yüksel 2002, 19-37).

In 1921, the member of Turkish parliament Besim Atalay Bey from Kyutahya introduced the bill stating to change non-Turkish origin toponym names (TBMMZC, Devre-1, c. 11, 100).

Another member of parliament from Gaziantep required the changing name of Greek castle Rumkale for Halfeti (TBMMZC, Devre-1, c. 11, 100). That draft law was considered on 2 July 1921. Yasin Bey stated that “An ancient Turkish land so-called “Greek citadel” is not inhabited by Greeks. The land was taken from Greeks a long time ago and then what?... I don't want to leave our conscience, existence, and future to be called with the name of those who attacked us like dogs... I require to change that Greek name right now!” (TBMMZC, Devre-1, c. 11, 100).

In spite of the fact that his speech sounded angry and agitative, he demanded to implement the bill but it was canceled. Then he sent a request to the head of the office of parliament – Ata Bey asking grounds for refusal. An answer was declared on 17 of August 1922 in parliamentary session: “a large number of places should be renamed only until the end of hostilities” (TBMMZC, Devre-1, 22, 243). Nevertheless, at the same time legislators were attempting to change toponyms. E.g Yozgat was renamed to Bozok. But that case, as well as other name-changing examples, have caused many problems with creating land-surveying documentation.

Hence the government has made two statements (BCA, Yer № 21.65.12; BCA, Yer № 15.115.69) where Yozgat was mentioned as Bozok. But again, to avoid some problems related to its name change government made a bill dated 1927, which returned Yozgat's previous name (TBMMZC, Devre-1, c. 15, 234; TBMMZC, Devre-1, c. 16, 55; TBMMZC, Devre-1, c. 28, 142; TBMMZC, Devre-2, c. 33, 681). In 1925, Kırşehir (Kırşehir) was about to change its name for Gulshehir (Gülşehir) but the parliament of Turkey refused to adopt that project (TBMMZC, Devre-2, c. 18, 326). Meanwhile, the new draft was being considered to change all non-Turkish naming for places all over the territory of Turkey. (TBMMZC, Devre-2, c. 15, 64). This fact was connected to the confusion of postal service when a post from abroad was being sent to an Istanbul, an address was indicated under an old manner – Constantinople. That caused the outburst of nationalism (TBMMZC, Devre-2, c. 5, 524; Koraltürk, 2003, 99).

The most acute debates about changing toponyms took place in 1924 for renaming Kırkilise (Kırkilise – forty churches) to Kırklareli (TBMMZC, Devre-2, c. 11, 190-1939). It turned out that instead of following the nationalistic suggestions proposed by some deputies, the government was going to make a concrete plan of renaming toponyms and follow it. Accordingly, the head of the office of

parliament Rejef Bey declared to the deputies: “Many toponyms have to be redesignated, although if we start altering them in a short period it will cause confusion in mail services, public registry, and numerous other procedures. Therefore the Chancery of the parliament appealed to its members to rename vilayets, big cities, and district centers first of all. Provinces, villages, small towns, and other toponyms should be renamed only afterwards” (Koraltürk 2003, 99). At first sight, the government was trying to console parliament members but at the same time, intentional and intensive changes of toponyms were clearly in evidence. On 28 October 1922, according to one of the documents, names of provinces covered in regions of Syon, Konya, Izmit, Lazistan, Isparta had nothing in common with Turkish and Ottoman namings, therefore, they all had to be promptly renamed (BCA, 13.113.58). Accordingly, Canli district (Nahiye) of Ayancik region in Sinope area (Kaza) was renamed to Osmanlı; Ayadon district to – Türkeli, Davgan district of Bayshehir region in Konya area was renamed to Doğanbey; Ermishe district in Izmit to – Budaklar, Makriali district in Hopa region in Lazistan area renamed to – Kemalpaşa, Aghros district of Isparta region – to Atabay, Pavlus district to – Cebel...

Prime Minister’s office received a document dated 14 January 1924 from the Ministry of Internal Affairs which referred to changing names that have nothing in common with Turkish namings in Synope region (BCA, 2.9.17).

All non-Turkish naming districts of Edirne center were changed according to Government decree dated 12 February 1925: Iskarletoghlu – to Lalashahinpasha, Aya Istarat – to Doğan, Aya Yorgi – to Hasil Bey, Aya Yani – to Isapaki, Aya Istanos – to Midhat Paşa, Aya Nikola – to Hajibetrettin, Papa Kachanos – to Mimarşinan, Panagia – to Dilaverbey, Papazoğlu – to Kadripaşa, Feristos – to Yalıshipaki, Mikhalkoch – Malkoçbey, Karapolit – to Yakuppasha, Madanoğlu – to Talatpasha, Tujjar Napoiat – Devleti İslam... (BCA, 10.5.16). According to regulation dated 14 February 1925, Khachin district in Kosan region, destroyed by Armenians was also renamed to Sambeyli, a member of the national liberation war.

According to the international treaty of Lausanne, non-Muslim people (Greeks, Armenians...) on the territory of Turkey were recognized as an ethnic minority. But the resentment against Greeks and Armenians made the Government to turn ire and revenge on Muslim but non-Turk population like Kurds and Georgians (Lazs). Hence Kurdish and Kartvelian toponyms changed. For this purpose “The Name Change Council” was established in the Ministry of Internal Affairs (Tan 1984, 279-283).

Throughout the entire life of the Ottoman Empire, the area of Samsun was called Janic/Janit/Janeti. The original name of this territory was Georgian – Chaneti (Karadeniz 1969, 11). Lazistan region suffered the same fate. It was totally abolished and the districts of Rize and Artvin have been formed there instead. It happened in 1927 that caused the riot of Lazs, brutally suppressed by the Turkish government. Since then historically Georgian toponyms were being systematically changed to Turkish namings.

This process started with İttihadists during the Balkan Wars and WWI and lasted intensively during the national liberation war and continues nowadays (Akhalaia 2015, Aksamaz 2000, 48-52).

References:

- Akhalaia, Nato; Batsashi, Tsate; Lortkipanidze, Guram; Lordkipanidze, Ketevan; Memishishi, Omar; Kavtaradze, Zezva. 2015. Lazebi da lazeti turkul gamocemebshi. Tbilisi: 149–53.
- Aksamaz, Ali İhsan. 2000. Lazlar, İstanbul: 48-53.
- BCA, (Başbakanlık Cumhuriyet Arşivleri) Bakanlar Kurulu Kararları (1920-1928) Tasnifi, Yer № 21.65.12
- BCA, (Diyanet İşleri Reisliği Tasnifi), Yer №13.115.69.
- BCA, (DİRT), Yer №13.113.58.
- BCA, Bakanlıklararası Tayın Daire Başkanlığı (Üçlü Kararnameler) Tasnifi, Yer № 2.9.17.
- BCA, Bakanlıklararası Tayın Daire Başkanlığı (Üçlü Kararnameler) Tasnifi, Yer № 10.5.16.
- BCA, Bakanlararası Tayın Daire Başkanlığı (Üçlü Kararnameler) Tasnifi, Yer № 13.21.7.
- Dündar, Fuat. 2001. İttihat ve Terakki’nin Müslümanları İskan Politikası (1913-1918), İletişim Yayınları, İstanbul: 81-84.
- “Karadeniz” Kültür, Sanat, Ekonomi, Turizm dergisi, Ankara, 1969, 11.

- Koraltürk, Murat. 2003. Milliyetçi Bir Refleks: Yer Adlarının Türkçeleştirilmesi, *Toplumsal Tarih*, 117, Eylül, Gözlem Gazetecilik Basın ve Yayın A.Ş., Teşvikiye-İstanbul: 98-99.
- Tan, Nail. 1984. “Türkiyede Yer Adları Verilirken veya Değiştirilirken Neler Esas Alınmalıdır,” *Türk Yer Adları Sempozyumu Bildirileri*, Kültür ve Turizm Bakanlığı Yayınları, Ankara: 279-283.
- TBMMZC (Türkiye Büyük Millet Meclisi Zabıt Ceridesi), Devre-1, c.-11: 100.
- TBMMZC, Devre-1, c.-22: 243.
- TBMMZC, Devre-1, c.-15: 234.
- TBMMZC, Devre-1, c.-16: 55.
- TBMMZC, Devre-1,c.-28: 142.
- TBMMZC, Devre-2, c.-33: 681.
- TBMMZC, Devre-2, c.-18: 326.
- TBMMZC, Devre-2, c.-15: 64.
- TBMMZC, Devre-2, c.-5: 524.
- TBMMZC, Devre-2, c.-11: 190-193.
- Toprak, Zafer. 1995. *Milli İktisat-Milli Burjuvazi*, Tarih Vakfı Yurt Yayınları, İstanbul: 60-63.
- Yerasimos, Stefanos. 1995. *Türk Milliyetçiliğinin Kökenindeki Balkan Milliyetçiliği*, *Toplumsal Tarih*,15, mart, İstanbul: 18-19.
- Yüksel, Ayhan. 2002. “Yer Adları Değiştirme Girişimleri ve Giresundaki Uygulaması (1916), *Giresun Tarihi Yazıları*, Kitabevi Yayınları, İstanbul: 19-37.

წათე ბაწაში

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.batsashi@freeuni.edu.ge

ისტორიული ტოპონიმების, ჰიდრონიმების და გეოგრაფიული სახელების შეცვლა თურქულით ოსმალეთის იმპერიაში და თურქეთის რესპუბლიკაში

რეზიუმე

ანატოლიის, ბალკანეთის ნახევარკუნძული და მიმდებარე ტერიტორიები ათასწლეულების განმავლობაში იყო სხვადასხვა ენობრივი, კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებების აკვანი. ყველა მათგანმა დატოვა ამ ადგილებში თავისი კვალი (ხეთები, ლიდები, ურარტუელები, ლუვიელები, სომხები, უმველესი ქართული ტომები და სხვ.). ბერძნული კოლონიზაციის დაწყებასთან ერთად დაიწყო ადგილობრივი ტოპონიმების ელინიზაცია, რომელიც გრძელდებოდა თითქმის ორი ათასი წელი. ამ ადგილებში თურქმანული ტომების დამკვიდრებასთან ერთად და ოსმალეთის იმპერიის არსებობის თითქმის მთელ მანძილზე მე-19 ს. ბოლომდე, ტოპონიმების გათურქება ატარებდა „ბუნებრივ“ ვიდრე პოლიტიკურ ხასიათს. ეს პროცესი მიმდინარეობდა ფონეტიკურ მსგავსებებზე დაყრდნობით: სპერი - ისფირ, სპარტა - ისპარტა, ერზინიკა - ერზინჯან, სევასტია - სივას, ბრუსა - ბურსა, და ა.შ. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითი იყო სტამბული. ბერძნული „სტინპოლი“ - რაც ნიშნავს „ქალაქში“ თურქებმა აღიქვეს, როგორც „ისტანბული“ .

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მე-20 ს.-ის დასაწყისში. ითთიხადისტების მიერ ტოპონიმების შეცვლა იყო მათი მხრიდან გატარებული ნაციონალისტური პოლიტიკა, რომელიც ემთხვევა ბალკანეთის ომების პერიოდს. პირველი მსოფლიო ომის დროს ეს პროცესი დაჩქარდა და არა მხოლოდ დასახლებული პუნქტების, არამედ მთების, დაბლობების, ტყეების სახელების შეცვლა დაიწყო. რესპუბლიკური პერიოდის დასაწყისიდან დღემდე თურქები ცვლიან ყველაფერს, რაც არ არის თურქული თურქეთის ტერიტორიაზე.

ლოზანის საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, თურქეთმა თავის ტერიტორიაზე ნაციონალურ უმცირესობებზე ცნო მხოლოდ არა მუსლიმი ხალხები (ბერძნები, სომხები...) მაგრამ მათ მიმართ ბრაზის და შურისძიების გრძნობა მუსლიმურ, მაგრამ არა თურქული წარმოშობის ხალხებზეც გავრცელდა. პირველ რიგში ქურთებსა და ქართველებზე, მათ შორის ლაზებზე. ამიტომ ქურთული და ქართველური ტოპონიმებიც შეცვალეს. ამისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა განსაკუთრებული „სახელის შეცვლის სპეციალისტთა საბჭო“ ოსმალეთის იმპერიის მთელ პერიოდში დღევანდელი სამსუნის ილი იწოდებოდა ჯანიქის/ჯანიტის/ჯანეთის სანჯაყად, ანუ ატარებდა თავის ისტორიულ სახელს - ჭანეთს. იგივე ბედი ეწვია ლაზისტანის სანჯაყს. ის საერთოდ გააუქმეს და მის ნაცვლად შექმნეს რიზესა და ართვინის ილენი. ამას მოყვა ლაზთა აჯანყება, რომელიც თურქეთის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო და ამის შემდეგომ პერიოდში დაიწყო ისტორიული ქართველური ტოპონიმების შეცვლა თურქულით.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმები, გადარქმევა, თურქიზაცია, ნაციონალიზმი, ისტორია.

როგორც ცნობილია ანატოლია, ბალკანეთის ნახევარკუნძული და მიმდებარე ტერიტორიები ათასწლეულების განმავლობაში იყო სხვადასხვა ენობრივი, კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებების აკვანი და ყველა მათგანმა დატოვა ამ ადგილებში თავისი კვალი (ხეთები, ლიდელები, ურარტუელები, ლუვიელები, უძველესი ქართული ტომები და სხვ.).

ბერძნული კოლონიზაციის დაწყებასთან ერთად დაიწყო ადგილობრივი ტოპონიმის ელინიზაცია, რომელიც გრძელდებოდა თითქმის ორიათასწლეულის განმავლობაში. უფრო ინტენსიურად ეს პროცესი მიმდინარეობდა ალექსანდრე მაკედონელის და ელინისტური სახელმწიფოების არსებობის პერიოდში და, რა თქმა უნდა, რომისა და ბიზანტიის იმპერიების არსებობის მთელ მანძილზე. იგივე შეიძლება ითქვას სელჯუქების ამ ტერიტორიაზე შემოჭრის და თურქმანული პოლიტიკური ერთეულების შექმნის პერიოდისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუმის (ქონიის) სასულთნოს არსებობის ხანა. მაშინ აქ „უზუნაესი“ ბრძანებებით იკრძალებოდა საჯარო ადგილებში რომელიმე ენის ხმარება გარდა თურქულისა. საქმე მივიდა იქამდე, რომ მართლმადიდებელი ბერძნული ეკლესია იძულებული გახდა, ბერძნული ასოების გამოყენებით, ეთარგმნა სახარება თურქმანულ ენაზე და ეწარმოებინა წირვა-ლოცვა და ქადაგება თურქულად. რის გამოც, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა წარმომობის ქრისტიანულმა ავტოქთონურმა მოსახლეობამ დაკარგა საკუთარი ენა. ქრისტიანობა შენარჩუნებულები თავიანთ თავს თვლიან ბერძნულად და ლაპარაკობენ თურქულად, მუსულმანობაზე გადასულები კი თავის თავს თვლიან თურქებად. მათი ქრისტიანი შთამომავლები იწოდებიან ყარამანლიებად და დიდი რაოდენობით ცხოვრობენ თურქეთსა და საბერძნეთში. ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ (უკვე მერამდენედ), რომ ე.წ. წალკელი ბერძნები და თურქ მესხებად შერაცხული ხალხის ძირითადი მასა წარმოადგენს ისტორიული ქართული პროვინციების: სპერის, ბასიანის, მესხეთ-ჯავახეთის და, ნაწილობრივ, ლაზეთ-ჭანეთის მკვიდრ მოსახლეობას.

ოსმალეთის იმპერიაში ეს საკითხი თავიდან არ ატარებდა მწვავე ხასიათს, რადგან ის ერთგვარი ბიზანტიის მემკვიდრედ ითვლებოდა. ამიტომ ტოპონიმის შეცვლა მთელი ამ ხნის განმავლობაში, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, ატარებდა უფრო „ბუნებრივ“ ხასიათს ვიდრე პოლიტიკურ მოვლენას. ეს პროცესი თავიდან მიმდინარეობდა ფონეტიკურ მსგავსებაზე დაყრდნობით. ამისი ყველაზე ცნობილი მაგალითი არის სტანბული. ბერძნული „სტინპოლი“-„ქალაქში“ თურქებმა აღიქვეს როგორც „ისტანბული“. ბერძნული ქალაქი სმირნა ჯერ აქციეს „ისმირნად“ და საბოლოოდ „იზმირ“-ად. ადრიანოპოლისი-„ედირნე“-დ და ა.შ. ხშირად ტოპონიმები ითარგმნებოდა. მაგალითად, ბერძნული არგიროპოლისი თურქებმა თარგმნეს და მიიღეს გიუმუშჰანე რაც ორივე ენაზე ვერცხლის ქალაქს ნიშნავს. ქ. სევასტია შეამოკლეს და მიიღეს „სივას“-ი, კესარია იქცა „ქაისერი“-თ, ნიკეა-„იზნიქ“-ად, იკონია-„ქონია“-დ, ბრუსა-„ბურსა“-დ, სპერი-„ისფირ“-ად, რიზენი (ბერძნული -რიზეონ)-„რიზე“-დ, მარადიდი-მურათლი-თ და ა.შ. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მე-20 ს. დასაწყისში. 2003 წ. მარმარის უნივერსიტეტის დოცენტმა მურათ ქორალთურქმა გამოაქვეყნა ჟურნალ „Toplumsal Tarih“-ში პატარა სტატია სათაურით: „ნაციონალისტური რეფლექსი: ტოპონიმის გათურქება“ (Koraltürk 2003, 98-99), რომელმაც დიდი გამოხმაურება და კრიტიკა დაიმსახურა ნაციონალისტურად განწყობილ მეცნიერთა წრეებში. ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით მის ნაშრომში მოყვანილ საარქივო მასალას, რადგან თურქეთის არქივები ჩვენთვის მიუწვდომელია.

ითთიჰადისტების მიერ ტოპონიმის შეცვლა იყო მათი მხრიდან გატარებული ჩასახლების პოლიტიკა, რომელიც ემთხვევა ბალკანეთის ომების პერიოდს. პირველი მსოფლიო ომის დროს ეს პროცესი დაჩქარდა და არა მხოლოდ დასახლებულ პუნქტებს არამედ მთებს, დაბლობებს, ტყეებსაც შეუცვალეს სახელები (Toprak 1995, 60-63; Koraltürk 2003, 98; Dünder 2001, 81-84).

რაც შეეხება თურქულ ნაციონალიზმს, მისი ჩასახვა დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 ს. დასაწყისში, როგორც ოსმანიზმი. თვითონ თურქული ნაციონალიზმის გამომხატველები კი იყვნენ ითთიჰადისტები, რომლებმაც 1908 წ. გადატრიალების შედეგად ხელთ ჩაიგდეს ძალაუფლება. თურქულ ნაციონალიზმზე დიდი გავლენა იქონია ბერძნულმა და ბალკანეთის სლავური ხალხების ნაციონალიზმმა (Yerasimos 1995, 18-19).

1916 წ. 5 იანვარს გამოქვეყნებული ენვერ ფაშას ბრძანებით სომხური, ბერძნული ან ბულგარული და, საერთოდ, არა მუსლიმი ერების ენოვანი ვილაეთების, სანჯაყების, რაიონული ცენტრების, სოფლების, მთების და მდინარეების სახელწოდებები თურქული ენის საფუძველზე უნდა შეცვლილიყო. მაგრამ ამ ბრძანების შესრულება 1916 წ. 15 ივნისის გადაწყვეტილებით შეჩერებულ იქნა რათა ომის მსვლელობაში არეულობას და გაუგებრობას იწვევდა. მაგრამ ამ მოკლე პერიოდშიც კი უამრავი ტოპონიმი იქნა შეცვლილი (Yüksel 2002, 19-37).

1921 წელს თურქეთის პარლამენტის წევრმა ქიუთაჰიდან ბესიმ ათალი ბეი'მა დიდ ეროვნულ კრებაში (მეჯლისში) შეიტანა კანონ პროექტი, რომელშიც მოითხოვდა: “არა თურქული (უცხო) ტოპონიმის შეცვლას“ (TBMMZC, Devre-1, c. 11, 100). გაზიანთეფის პარლამენტარმა კი გაზიანთეფის ლივი'ს (სანჯაყის) შემადგენლობაში მყოფი რუმქალეს (ბერძნული, ბიზანტიური ციხე – Runkale) სახელწოდება ჰალფეთი'თ (Halfeti) შეცვლა მოითხოვა (TBMMZC, Devre-1, c. 11, 100). ამ პროექტების განხილვა შედგა 1921 წ. 2 ივლისს, სადაც იასინ ბეი თავის წინადადებას შემდეგი სიტყვებით იცავდა: “ძირძველ თურქულ მიწაზე არსებულ ქვეყანაში, სადაც არც ერთი ბერძენი არ არის „ბერძნული ციხე“ უწოდეს. თავის დროზე ბერძნებისაგან ავიღეთ...მერე რა? დღეს ჩვენს ნამუსს, ჩვენს არსებობას, ჩვენს მომავალს ძაღლებით შემოსეულ ასეთი ერის სახელი რომ ატაროს არ მინდა... ამ ბერძნული სახელის ახლავე შეცვლას მოვითხოვ“ (TBMMZC, Devre-1, c. 11, 100). მიუხედავად იმისა, რომ იგი აღელვებულად და სიბრაზით მოითხოვდა ამ კანონის მიღებას, მისი კანონპროექტი ვერ გავიდა. მაშინ მან გაუგზავნა წერილობითი შეკითხვა ამ პროექტის შესახებ პარლამენტის კანცელარიის გამგეს ათა ბეი'ს, რომლის პასუხი წაკითხულ იქნა 1922 წ. 17 აგვისტოს პარლამენტის სხდომაზე. პასუხში ნათქვამი იყო შემდეგი: “ძალიან ბევრი ადგილის სახელწოდება შესაცვლელია, მაგრამ ამის გასახორციელებლად უნდა დაველოდოთ საომარი მოქმედებების დამთავრებას“ (TBMMZC, Devre-1, c. 22, 243). ამის მიუხედავად კანონმდებლები, ამავე დროს, მაინც ახერხებდნენ და ცვლიდნენ ტოპონიმებს. მაგალითად, იოზგათ'ს (Yozgat) უწოდეს ბოზოქი (Bozok). მაგრამ ამან და ზოგმა სხვა შემთხვევებმა, საკადასტრო და სხვა დოკუმენტაციის შედგენისას, დიდი პრობლემები გამოიწვია. ამიტომ მთავრობამ ორი დადგენილება გამოსცა (BCA, Yer № 21.65.12; BCA, Yer № 15.115.69) სადაც იოზგათ'ი ბოზოქად არის გატარებული. მაგრამ, ისევ და ისევ, ამის გამო შექმნილი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით 1927 წელს, ახალი კანონ პროექტის წარდგენით, იოზგათს დაუბრუნეს თავისი ძველი სახელი (TBMMZC, Devre-1, c. 15, 234; TBMMZC, Devre-1, c. 16, 55; TBMMZC, Devre-1, c. 28, 142; TBMMZC, Devre-2, c. 33, 681). 1925 წელს ქალაქ ქირშეჰირის (Kırşehir) სახელი გიულშეჰირ'თ (Gülşehir) უნდა შეეცვალათ, მაგრამ ეს პროექტი მეჯლისმა არ მიიღო (TBMMZC, Devre-2, c. 18, 326). კვლავ ამავე პერიოდში თურქეთის პარლამენტში შევიდა ახალი კანონ პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის ტერიტორიაზე ყველა არა თურქული ადგილსახელების შეცვლას თურქულით (TBMMZC, Devre-2, c. 15, 64). ამის საბაზი იყო ის რომ საზღვარგარეთიდან შემოსული საფოსტო გზავნილების უმეტესობაში ისტანბულის ნაცვლად იყო ძველებურად მითითებული კონსტანტინოპოლი, რამაც გამოიწვია „ნაციონალისტური რეფლექსი“ (TBMMZC, Devre-2, c. 5, 524; Koraltürk, 2003, 99).

ტოპონიმის შეცვლის საკითხის გარშემო ყველაზე ცხარე კამათები გაიმართა 1924 წელს ქირქილისეს (Kırkkilise-ორმოცი ეკლესია) სახელის ქირქლარელი'თ (Kırklareli) შეცვლის გამო (TBMMZC, Devre-2, c. 11, 190-1939). ამ კამათებიდან გაირკვა, რომ ცალკეული დეპუტატის ნაციონალისტურ-თურქისტული წინადადებების ნაცვლად, მთავრობას უნდა

მოემზადებინა კონკრეტული გეგმა და ემოქმედა მის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით მეჯლისის კანცელარიის გამგემ რეჯეფ ბეი'მა მიმართა პარლამენტარებს: “მალიან დიდი რაოდენობის ტოპონიმიკა შესაცვლელიდა, თუ ჩვენ ერთდროულად მოკლე დროში შევცვლით მათ, ეს გამოიწვევს ფოსტის მომსახურების, საჯარო რეესტრის და ბევრი სხვა მოქმედებების არეულობას. ამიტომ მეჯლისის კანცელარია თხოვნით მიმართავს მეჯლისის წევრებს რათა ჯერ ვილაეთების, დიდი ქალაქების და რაიონული ცენტრების სახელები ნელნელა შევცვალოთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაბების, სოფლების და სხვა ტოპონიმიკა” (Koraltürk 2003, 99). მთავრობა, ერთი შეხედულებით, აწყენარებდა მეჯლისის წევრებს, მაგრამ მიზანდასახულად და საკმაოდ სწრაფი ტემპით აგრძელებდა ტოპონიმიკის შეცვლას. 1922 წ. 28 ოქტომბრის ერთი დოკუმენტის მიხედვით სინოპის, კონიას, იზმიტის, ლაზისტანის და ისპარტას სანჯაყებში შემავალი დასახლებების სახელწოდებებს არაფერი საერთო არ გააჩნიათ თურქობა და ოსმალობასთან, ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს მათი სახელები (BCA, 13.113.58). ამის მიხედვით სინოპის სანჯაყში შემავალი აიანჯიქის ოლქის (Kaza) ჩანლის რაიონი (nahiye) გადაკეთდა ოსმანლი'თ (Osmanlı), აიანდონის რაიონი თურქელი'თ (Türkeli), კონიის სანჯაყის ბეიშეჰირის ოლქში შემავალი დავგანას რაიონი დოღანბეი'თ (Doğanbey), იზმიტის ერმიშეს რაიონი ბუდაქლარი'თ (Budaklar), ლაზისტანის სანჯაყის ხოფის ოლქში შემავალი მაკრიალის რაიონი ქემალფაშა'დ (Kemalpaşa), ისფართას სანჯაყში ადროსის რაიონი ათაბაი'თ (Atabay), პავლუს რაიონი ჯებელი'თ (Cebel) შეცვალეს...

1924 წ. 14 იანვრის დოკუმენტში, რომელიც გაგზავნილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროდან პრემიერ მინისტრის კანცელარიაში, ლაპარაკია სინოპის სანჯაყის დასახლებული პუნქტების სახელების შეცვლაზე, რომლებსაც თურქობასთან არანაირი შეხება არა აქვთ (BCA, 2.9.17). 1925 წ. 12 თებერვლით დათარიღებული მთავრობის დადგენილებით ედირნეს ვილაიეთის ცენტრში არსებული არაეროვნული (არათურქული) სახელების მატარებელ უბნებს სახელები შეუცვალეს: ისქარლეთოღლუ–ლალაშაჰინფაშა; აია ისთარათი–დოღან; აია იორგი–ჰასილ ბეი; აია იანი–ისაფაქი; აია ისთაფანოს–მიდჰათ ფაშა;–აია ნიკოლა–ჰაჯიბედრეთინ; პაპა კაჩანოს–მიმარსინან; პანაგია–დილავერბეი; პაპაზოღლუ–ქადრიფაშა; ფერისტოს–იალიშიფაკი; მიხალკოზ–მალქოზბეი; კარაპოლიტ–იაკუფფაშა; მადანოღლუ–თალათფაშა; თუჯჯარ ნაპოიატ–დეველეთი ისლამ... (BCA, 10.5.16). 1925 წ. 14 მაისის დადგენილებით, სომხების მიერ დანგრეული, ქოზანის ვილაიეთის ხაჩინის ოლქს სახელი შეუცვალეს და ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილე საიმ ბეის სახელი დაარქვეს–საიმბეილი-Saimbeyli (BCA, № 13.21.7).

ლოზანის საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად თურქეთმა თავის ტერიტორიაზე ნაციონალურ უმცირესობებად ცნო მხოლოდ არა მუსლიმი ხალხები (ბერძნები, სომხები...). მაგრამ მათ მიმართ მიმართული ბრაზი და შურისძიების გრძნობა მუსლიმურ, მაგრამ არა თურქული წარმოშობის ხალხებზეც გავრცელდა, პირველ რიგში ქურთებსა და ლაზებზე (Koraltürk 2003, 99). ამიტომ ქურთული და ქართველური ტოპონიმიკაც შეცვალეს. ამისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა განსაკუთრებული „სახელის შეცვლის სპეციალისთა საბჭო“ (Tan 1984, 279-283).

ოსმალეთის იმპერიის მთელ პერიოდში დღევანდელი სამსუნის ვილაიეთი იწოდებოდა ჯანიქის/ჯანიტის/ჯანეთის სანჯაყად ანუ ატარებდა თავის ისტორიულ ქართულ სახელს–ჰანეთს (Karadeniz 1969, 11). იგივებედი ეწვია ლაზისტანის სანჯაყს. ის საერთოდ გააუქმეს და მის ნაცვლად შექმნეს რიზესა და ართვინის ვილაიეთები. ეს მოხდა 1927 წ., რასაც მოყვა ლაზთა აჯანყება, რომელიც თურქეთის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო. ამის შემდეგ გეგმაზომიერად დაიწყო ისტორიული ქართველური ტოპონიმიკის შეცვლა თურქულით.

ეს პროცესი, რომელიც ითიხადისტების მიერ ბალკანეთის და პირველი მსოფლიო ომის დროს, იყო დაწყებული, უფრო ინტენსიურად გაგრძელდა ეროვნულ გამათავისუფლებელი ომის პერიოდშიც და მიმდინარეობს დღესაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ახალაია, ნატო; ზაწაში, წათე; ლორთქიფანიძე, გურამ; ლორთქიფანიძე, ქეთევან; მემიშიძე, ომარ; ქავთარაძე, ზეზვა. 2015. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. თბილისი: 149–53.
- Aksamaz, Ali İhsan. 2000. Lazlar, İstanbul: 48-53.
- BCA, (Başbakanlık Cumhuriyet Arşivleri) Bakanlar Kurulu Kararları (1920-1928) Tasnifi, Yer № 21.65.12
- BCA, (Diyanet İşleri Reisliği Tasnifi), Yer №13.115.69.
- BCA, (DİRT), Yer №13.113.58.
- BCA, Bakanlıklararası Tayın Daire Başkanlığı (Üçlü Kararnameler) Tasnifi, Yer № 2.9.17.
- BCA, Bakanlıklararası Tayın Daire Başkanlığı (Üçlü Kararnameler) Tasnifi, Yer № 10.5.16.
- BCA, Bakanlararası Tayın Daire Başkanlığı (Üçlü Kararnameler) Tasnifi, Yer № 13.21.7.
- Dündar, Fuat. 2001. İttihat ve Terakki'nin Müslümanları İskan Politikası (1913-1918), İletişim Yayınları, İstanbul: 81-84.
- “Karadeniz” Kültür, Sanat, Ekonomi, Turizm dergisi, Ankara, 1969, 11.
- Koraltürk, Murat. 2003. Milliyetçi Bir Refleks: Yer Adlarının Türkçeleştirilmesi, Toplumsal Tarih, 117, Eylül, Gözlem Gazetecilik Basın ve Yayın A.Ş., Teşvikiye-İstanbul: 98-99.
- Tan, Nail. 1984. “Türkiyede Yer Adları Verilirken veya Değiştirilirken Neler Esas Alınmalıdır,” Türk Yer Adları Sempozyumu Bildirileri, Kültür ve Turizm Bakanlığı Yayınları, Ankara: 279-283.
- TBMMZC (Türkiye Büyük Millet Meclisi Zabıt Ceridesi), Devre-1, c.-11: 100.
- TBMMZC, Devre-1, c.-22: 243.
- TBMMZC, Devre-1, c.-15: 234.
- TBMMZC, Devre-1, c.-16: 55.
- TBMMZC, Devre-1,c.-28: 142.
- TBMMZC, Devre-2, c.-33: 681.
- TBMMZC, Devre-2, c.-18: 326.
- TBMMZC, Devre-2, c.-15: 64.
- TBMMZC, Devre-2, c.-5: 524.
- TBMMZC, Devre-2, c.-11: 190-193.
- Toprak, Zafer. 1995. Milli İktisat-Milli Burjuvazi, Tarih Vakfı Yurt Yayınları, İstanbul: 60-63.
- Yerasimos, Stefanos. 1995. Türk Milliyetçiliğinin Kökenindeki Balkan Milliyetçiliği, Toplumsal Tarih,15, mart, İstanbul: 18-19.
- Yüksel, Ayhan. 2002. “Yer Adları Değiştirme Girişimleri ve Giresundaki Uygulaması (1916), Giresun Tarihi Yazıları, Kitabevi Yayınları, İstanbul: 19-37.